

**შპს ზიონი (ს/კ:404592669)**

**ფინანსური ანგარიშგება**

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

**ქ.სენაკი ს. ნოსირო  
2023 წ.**

## შინაარსი

|                                                                                                |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის .....                            | 3  |
| 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება ..... | 5  |
| 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....                     | 6  |
| ზოგადი ინფორმაცია .....                                                                        | 6  |
| ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა .....                       | 7  |
| შემოსავლის აღიარება .....                                                                      | 7  |
| ხარჯების აღიარება .....                                                                        | 7  |
| სხვა ხარჯები .....                                                                             | 8  |
| უცხოური ვალუტის კონვერტაცია .....                                                              | 8  |
| მოგების გადასახადი .....                                                                       | 8  |
| ძირითადი საშუალებები .....                                                                     | 9  |
| აქტივების გაუფასურება .....                                                                    | 9  |
| იჯარა .....                                                                                    | 10 |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები .....                                                        | 11 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                                               | 11 |
| სავაჭრო ვალდებულებები .....                                                                    | 11 |
| დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები .....                                                     | 11 |
| 1. ამონაგები .....                                                                             | 12 |
| 2. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები .....                                                       | 12 |
| 3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                                            | 12 |
| 4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები .....                                                     | 13 |
| 5. ძირითადი საშუალებები .....                                                                  | 13 |
| 6. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები .....                                                    | 14 |
| 7. საგადასახადო ვალდებულება .....                                                              | 14 |
| 8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები .....                                     | 15 |
| 9. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები .....                                         | 15 |
| 10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....                                            | 15 |
| 11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები .....                                                      | 15 |
| 12. ფუნქციონირებადი საწარმო .....                                                              | 16 |
| 13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება .....                                                    | 16 |

შპს ზიონი (ს/კ: 404592669)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის

|                                           | შენიშვნები | 31.12.2022     | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|-------------------------------------------|------------|----------------|---------------|---------------|
|                                           |            | ლარი           | ლარი          | ლარი          |
| <b>აქტივები</b>                           |            |                |               |               |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                 |            |                |               |               |
| ფულადი სახსრები                           | 8          | 6852           | 28007         | 23895         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | 3          | 87266          | 65678         | 4329          |
| წინასწარ გადახდილი თანხები                |            | 3715           | 7015          | 193803        |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები         | 5          | 1128177        | 613255        | 254958        |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>             |            | <b>1226009</b> | <b>713955</b> | <b>476985</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>              |            |                |               |               |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში        |            |                |               |               |
| ძირითადი საშუალებები                      | 5          | 110410         | 103419        | 61929         |
| არამატერიალური აქტივები                   |            |                |               |               |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები           | 7          | 12799          | 8012          | 8200          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>          |            | <b>123208</b>  | <b>111431</b> | <b>70129</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                       |            | <b>1329218</b> | <b>825386</b> | <b>547114</b> |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |            |                |               |               |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         |            |                |               |               |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება              |            |                |               | -             |
| სავაჭრო ვალდებულებები                     | 6          | 1098641        | 602961        | 300539        |
| ვალდებულებები და ხარჯების ანარიცხები      |            |                |               |               |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება        |            | 1104           | 1336          | 284           |
| ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის  |            |                |               |               |
| დებიტორული დაგაღიანების ანარიცხი          |            |                |               |               |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ       |            |                |               |               |
| მიმდინარე სასესო ვალდებულებები            |            | 0              | 0             | 171333        |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება              |            |                |               |               |
| მიღებული ავანსები                         |            |                |               |               |
| სხვა ვალდებულებები                        |            | 682            | 355           | 198           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |            | <b>1100427</b> | <b>604652</b> | <b>472354</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |            |                |               |               |
| გრძელვადიანი სასესო ვალდებულებები         |            |                |               |               |
| გადასახდელი პროცენტი                      |            |                |               | -             |
|                                           | შენიშვნები | 31.12.2021     | 31.12.2021    | 31.12.2020    |

|                                               |  | ლარი           | ლარი          | ლარი          |
|-----------------------------------------------|--|----------------|---------------|---------------|
| ფინანსური იჯარის ვალდებულებები                |  |                | -             | -             |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულება                 |  |                |               |               |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |  |                | -             | -             |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |  | <b>1100427</b> | <b>604652</b> | <b>472354</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |  |                |               |               |
| საწესდებო კაპიტალი                            |  | -              | -             | -             |
| გაუნაწილებელი მოგება                          |  | 248791         | 220734        | 74760         |
| აფასების რეზერვი                              |  |                |               |               |
| სხვა რეზერვები                                |  |                |               |               |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |  | <b>248791</b>  | <b>220734</b> | <b>74760</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |  | <b>1349218</b> | <b>825386</b> | <b>547114</b> |

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი  
გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ბორის ბიგვავა

(პ/ნ: 62001018806)



**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისშემოსავლისა და გაუნაწილებელი  
მოგების ანგარიშგება**

|                                                                                       | შენიშვნები | 2022            | 2021            |
|---------------------------------------------------------------------------------------|------------|-----------------|-----------------|
|                                                                                       |            | ლარი            | ლარი            |
| ამონაგები                                                                             | 1          | 3713056         | 2216534         |
| სხვა შემოსავალი                                                                       |            | 1025            | 7244            |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                                                         | 1          |                 |                 |
| <b>სულ შემოსავალი</b>                                                                 |            | <b>3714081</b>  | <b>2223778</b>  |
| ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება |            |                 |                 |
| გამოყენებული ნედლეული და მასალები                                                     | 4          | (3023454)       | (1788807)       |
| თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები                                          | 9          | (320004)        | (144992)        |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი                                                         | 5          | (19900)         | (12928)         |
| ძირითადი საშუალებების გაუფასურება                                                     |            |                 |                 |
| იჯარის ხარჯი                                                                          |            |                 |                 |
| გადაზიდვებთან დაკავშირებული ხარჯები                                                   |            | -               | -               |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები                                            | 2          | (144338)        | (131077)        |
| დებიტორული დავალიანების გაუფასურებისანარიცხი                                          |            |                 |                 |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                         |            | <b>(484242)</b> | <b>(288997)</b> |
| ფინანსური დანახარჯები                                                                 |            |                 |                 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                                                              |            |                 |                 |
| <b>სულ არასაოპერაციო ხარჯები</b>                                                      |            | <b>-</b>        | <b>-</b>        |
| <b>წლის მოგება/ზარალი(დაბეგვრამდე)</b>                                                |            | <b>206385</b>   | <b>145974</b>   |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                             |            |                 |                 |
| <b>წმინდა მოგება/ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)</b>                                   |            | <b>206385</b>   | <b>145974</b>   |
| წმინდა მოგება/ზარალი წლის დასაწყისში                                                  |            | 220734          | 74760           |
| სხვა ცვლილება                                                                         |            |                 |                 |
| მიღებული დივიდენდები                                                                  |            | (178328)        |                 |
| გაცემული დივიდენდები                                                                  |            |                 |                 |
| <b>წმინდა მოგება წლის ბოლოს</b>                                                       |            | <b>248791</b>   | <b>220734</b>   |

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი  
გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ბორის ბიგვავა

(პ/ნ: 62001018806)

შპს ზიონი (ს/კ: 404592669)

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

|                                                                                     | შენიშვნა | 2022            |
|-------------------------------------------------------------------------------------|----------|-----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                     |          |                 |
| კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები                                             |          | 3926102         |
| მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები                            |          | (3612580)       |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</b>                                    |          | <b>313522</b>   |
| გადახდილი პროცენტები                                                                |          |                 |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                                        |          |                 |
| გადახდილი სხვა გადასახადები                                                         |          | (157600)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                              |          | <b>(157600)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                   |          |                 |
| შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით                          |          |                 |
| ძირითადი საშუალების შეძენა                                                          |          | (32533)         |
| ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი                                              |          |                 |
| მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები                                    |          |                 |
| მიღებული პროცენტები                                                                 |          |                 |
| დამფუძნებლის შემონარტანები                                                          |          |                 |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                            |          | <b>(32533)</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                      |          |                 |
| შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად                                                |          |                 |
| შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან                                                |          |                 |
| შემოსულობანი მოკლევადიანი სესხებიდან                                                |          |                 |
| ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)                                 |          |                 |
| გადახდილი დივიდენდები                                                               |          | (144000)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>                               |          | <b>(144000)</b> |
| სავალუტო კურსის ეფექტი                                                              |          | (545)           |
| <b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>                         |          | <b>(21155)</b>  |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის</b> | <b>8</b> | <b>28007</b>    |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის</b>      | <b>8</b> | <b>6852</b>     |

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ბორის ბიგვაჟა

(პ/ნ: 62001018806)

**ზოგადი ინფორმაცია**

„ზიონი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2020 წლის 07 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართი : საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი 19, კორპუსი 3, სათავსი, სართული 1.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა საბითუმო ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით..

### ***ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა***

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული **მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის** შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში.

### ***შემოსავლის აღიარება***

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

### ***ხარჯების აღიარება***

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

## **სხვა ხარჯები**

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

## **უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა / (ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

## **მოგების გადასახადი**

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა დამიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თურა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის

პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

|                               |              |
|-------------------------------|--------------|
| შენობა-ნაგებობა               | 5% პროცენტი  |
| კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი | 20% პროცენტი |
| მანქანები                     | 20% პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთისნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### **აქტივების გაუფასურება**

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

## **იჯარა**

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულებისტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართშესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაითვლება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### ***სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები***

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

### ***სავაჭრო და სხვა მოთხოვნები***

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### ***სავაჭრო ვალდებულებები***

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### ***დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები***

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავამდყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ტრანსპორტირება, და სხვა)

დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

### 1. ამონაგები

| ამონაგები:                        | 2022<br>ლარი   | 2021<br>ლარი   |
|-----------------------------------|----------------|----------------|
| შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან | 3713056        | 2216534        |
| არასაოპერაციო შემოსავალი          | 1025           | 7244           |
| <b>სულ</b>                        | <b>3714081</b> | <b>2223778</b> |

### 2. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

|                         | 2022<br>წელი  | 2021<br>წელი  |
|-------------------------|---------------|---------------|
| მანქანის ხარჯი          | 5911          | 6286          |
| საწვავის ხარჯი          | 25167         | 11353         |
| კომუნალური ხარჯი        | 7369          | 3653          |
| საკანცელარიოხარჯი       | 236           | 640           |
| საკომუნიკაციო ხარჯი     | 1200          | 1200          |
| დაზღვევის ხარჯი         | 0             | 0             |
| საბანკო ხარჯი           | 19979         | 14010         |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 0.00          | 0             |
| სხვა ხარჯი              | 424380        | 251855        |
|                         |               |               |
| <b>სულ</b>              | <b>484242</b> | <b>288997</b> |

### 3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                        | 2022<br>ლარი | 2021<br>ლარი |
|------------------------|--------------|--------------|
| დებიტორული დავალიანება | 65678        | 4329         |

დებიტორული დავალიანება წარმოშობილია მომსახურების მიწოდებიდან, გადახდის ვადები არ აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს. წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.

#### 4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

|                                                | 2022<br>ლარი | 2021<br>ლარი |
|------------------------------------------------|--------------|--------------|
| საქონელი, ნედლეული და მასალები წლის დასაწყისში | 1339         | 103          |
| ნედლეული და მასალების შეძენა                   | 24323        | 15517        |
| გახარჯული ნედლეული და მასალები                 | (25167)      | (14281)      |
| <b>ნედლეული და მასალების ნაშთი წლის ბოლოს</b>  | <b>495</b>   | <b>1339</b>  |

#### 5. ძირითადი საშუალებები

|                                                 | შენობა<br>ლარი | ავტომობილები<br>ლარი | ავეჯი და<br>მოწყობილობა<br>ლარი | სულ<br>ლარი  |
|-------------------------------------------------|----------------|----------------------|---------------------------------|--------------|
| 1 იანვარი, 2020 წ.                              |                |                      |                                 |              |
| შემოსვლა                                        |                | 61248                | 6645                            | <b>67893</b> |
| გასვლა                                          |                |                      |                                 |              |
| <b>31 დეკემბერი, 2020 წ.</b>                    |                | <b>61248</b>         | <b>6645</b>                     | <b>67893</b> |
| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება                  |                |                      |                                 |              |
| 1 იანვარი, 2020 წ.                              |                |                      |                                 |              |
| წლიური ცვეთა                                    |                | 5104                 | 860                             | <b>5963</b>  |
| გაუფასურება                                     |                | -                    | -                               | -            |
| გამოკლებული გასული აქტივების<br>დაგროვილი ცვეთა |                | -                    | -                               | -            |
| <b>31 დეკემბერი, 2020 წელი</b>                  |                | <b>56144</b>         | <b>5785</b>                     | <b>61929</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>                     |                | <b>56144</b>         | <b>5785</b>                     | <b>61929</b> |
| <b>31 დეკემბერი, 2020 წ.</b>                    |                |                      |                                 |              |
| 1 იანვარი, 2021 წ.                              |                |                      |                                 |              |
| შემოსვლა                                        |                | 36619                | 17799                           | <b>54418</b> |
| გასვლა                                          |                | -                    | -                               | -            |
| <b>31 დეკემბერი, 2021 წ.</b>                    |                | <b>-</b>             | <b>-</b>                        | <b>-</b>     |
| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება                  |                |                      |                                 |              |
| 1 იანვარი, 2021 წ.                              |                |                      |                                 |              |

|                                                 |              |              |               |
|-------------------------------------------------|--------------|--------------|---------------|
| წლიური ცვეთა                                    | 11229        | 1699         | 12928         |
| გაუფასურება                                     | -            | -            | -             |
| გამოკლებული გასული აქტივების<br>დაგროვილი ცვეთა | -            | -            | -             |
| <b>31 დეკემბერი, 2021 წელი</b>                  | <b>81534</b> | <b>21885</b> | <b>103419</b> |
| <b>1 იანვარი, 2022 წ.</b>                       |              |              |               |
| <b>შემოსვლა</b>                                 |              | <b>27661</b> | <b>27661</b>  |
| <b>გასვლა</b>                                   |              |              |               |

|                                                 |              |              |               |
|-------------------------------------------------|--------------|--------------|---------------|
| <b>31 დეკემბერი, 2022 წ.</b>                    | -            |              | -             |
| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება                  |              |              |               |
| 1 იანვარი, 2022 წ.                              |              |              |               |
| წლიური ცვეთა                                    | 16307        | 4362         | 20669         |
| გაუფასურება                                     | -            | -            | -             |
| გამოკლებული გასული აქტივების<br>დაგროვილი ცვეთა | -            | -            | -             |
| <b>31 დეკემბერი, 2022 წელი</b>                  | <b>65227</b> | <b>45183</b> | <b>110410</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>                     |              |              |               |
| <b>31 დეკემბერი, 2022 წ.</b>                    | <b>65227</b> | <b>45183</b> | <b>110410</b> |

#### 6. სავაჭრო დამიმდინარე ვალდებულებები

|                                                 | 2022<br>ლარი   | 2021<br>ლარი  |
|-------------------------------------------------|----------------|---------------|
| <b>ვალდებულებები რეზიდენტ მომწოდებლებთან</b>    | <b>1098641</b> | <b>602961</b> |
| <b>ვალდებულებები არარეზიდენტ მომწოდებლებთან</b> | <b>0</b>       | <b>0</b>      |
| <b>სულ</b>                                      | <b>1098641</b> | <b>602961</b> |

ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოწოდებული საქონლის და მომსახურების ღირებულებას და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას. ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მნიშვნელოვნად მათი საბალანსო ღირებულებისგან.

#### 7. საგადასახადო ვალდებულება

|  | 2022<br>ლარი | 2021<br>ლარი |
|--|--------------|--------------|
|--|--------------|--------------|

|                       |      |      |
|-----------------------|------|------|
| საბიუჯეტო ვალდებულება | 1104 | 1336 |
|-----------------------|------|------|

**8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

|                          | 2022<br>ლარი | 2021<br>ლარი |
|--------------------------|--------------|--------------|
| ფულადი სახსრები სალაროში | 2344         | 9972         |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 4508         | 18035        |
| <b>სულ</b>               | <b>6852</b>  | <b>28007</b> |

კომპანიის ფულადი სახსრების დამათიექვივალენტების ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

**9. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები**

|                           | 2022<br>ლარი | 2021<br>ლარი |
|---------------------------|--------------|--------------|
| დარიცხული ხელფასები       | 320004       | 144992       |
| გაცემული ხელფასები        | (320004)     | (144992)     |
| <b>გასაცემი ხელფასები</b> | <b>0</b>     | <b>0</b>     |

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე, ადმინისტრაციაზე და სხვა პერსონალზე გაცემულ ანაზღაურებას.

**10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე.

**11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები**

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

### **12. ფუნქციონირებადი საწარმო**

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ მომსახურების მიწოდება და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

### **13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:



ბორის ბიგვავა  
(პ/ნ 62001018806)